შ.პ.ს.

# „საქართველოსჰონგჩუანი“

“GEORGIANHONGCHUAN” ltd.Co

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ს/კოდი 412740805

გასავალი: № 01-14/22 თარიღი: 11.04.2022 წ.

საქართველოს დაგრემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „საქართველოსჰონგჩუან“-ი ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის 88-ში ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე გეგმავს მეთილისმეტაკრილატის პირველადი ნედლეულის გადამუშავებას (გასუფთავებას დისტილაციის მეთოდით) და პოლიმეთილ მეტაკრილატის (PMMA) ფირის წარმოებას.

რადგან შუალედური პროდუქტების (MMA) ქიმიური დამუშავებით, ქიმიური ნივთიერების (PMMA)მიღება, ასევე პლასტიკურის მასალების (პოლიმეთილმეტაკრილატის ფირები) წარმოება და ნავთობქიმიური პროდუქტების (MMA) საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის 6.1.; 6.2. და 6.3. ქვეპინქტებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, იმავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

საქმიანობის განმახორციელებელის მიერ მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი და გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარდგენილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის N2-487 ბრძანებით, მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „საქართველოსჰონგჩუან“-ის მიერ ქ.ქუთაისში მეთილმეტაკრილატის (MMA) პირველადი ნედლეულის დისტილაციისა და პილომეთილმეტაკრილატის (PMMA)ფირების (შუალედური პროდუქტების ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე პროექტი დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელიც სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში წრდგენილი იქნა 2021 წლის 30 აგვისტოს.

საქართველოსგარემოსდაცვისადასოფლისმეურნეობისმინისტრის 28/10/2021წ. N2-1505 ბრძანებით, გაცემულიიქნაშპს „საქართველოსჰონგჩუან“-ის მეთილმეტაკრილატის

(MMA) პირველადი ნედლეულის დისტილაციისა და პოლიმეთილმეტაკრილატის (PMMA) ფირების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაცის აღდგენა) პროექტზე სკოპინგის დასკვნა N51 (18.10.2021წ.).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლისა და სკოპინგის ანგარიშის ძირითადი ნაწილის მე-4 დამე-5 პუნქტების შესაბამისად, საკონსულტაციო კომპანია „კოდექსსერვისი"-ს მიერ მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გარემოზდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და გასცეთ გარემოასდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: გზშ-ს ანგარიში 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ზდგ-ს ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ნარჩენების მართვის გეგმა - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
საჯარო რეესტრის ამონაწერი;
Shp - ფაილები;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებგელი ქვითარი;

პატივისცემით,

დირექტორი: ლუნიუან ჰუ